საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6528
10/08/2023

6528-21-2-202308100948

შპს „თი ეს გრუპს“
მის: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა, კორპ. 3, ბ. 22
ელ.ფოსტა: office@tsgroup.az

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N5229 განცხადება, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. მარაბდაში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში („ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები წარმოდგენილია არასწორად, კერძოდ: ორგანიზებული და არაორგანიზებული მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, **X;-Y; კოორდინატები**, **დიამეტრი, ჰაერის ნაკადის სიჩქარე მ/წმ და მოცულობითი სიჩქარე მ³/წმ,** რაც ასევე ასახულია გამოყენებული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა **„ეკოლოგში“.** აღნიშნული პარამეტრების არასწორად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი შედეგები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს კორექტირებას და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამუშავებულ პროექტში ასახვას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო მოწყობილია 318.45 მ² ფართობის ანგარის ტიპის ნაგებობაში. 2020 წლის გზშ-ის ანგარიშისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 აგვისტოს N2-690 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ 3168.45 მ² ფართობის ანგარის ტიპის ნაგებობაში დაგეგმილი იყო ცემენტის დაფქვისათვის საჭირო 10 ტ/სთ წარმადობის

ბურთულებიანი წისქვილისა და ნედლეულის სასაწყობე ფართის განთავსება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ანგარის ტიპის ნაგებობის ფართობი;

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის წითელი ხაზიდან, დაახლოებით 240 მეტრში განთავსებულია ფიზიკური პირი ლაშა სიკიაშვილის (ს/კ 84.24.31.000.189) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული ცხოველთა სადგომით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ფიზიკური პირი ლაშა სიკიაშვილის (ს/კ 84.24.31.000.189) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ცხოველთა სადგომი) მდებარეობს საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 52 მ-ში, ხოლო უშუალოდ წისქვილების განთავსების ტერიტორიიდან (შენობიდან) დაახლოებით 130 მეტრში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ცხოველთა სადგომის საწარმოს ტერიტორიიდან დაშორების მანძილი;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ორივე წისქვილი (ახალი და არსებული) აღჭურვილია მტვრის მონიტორინგის უწყვეტი სენსორული სისტემით, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს უწყვეტი თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაციას, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 აგვისტოს N2-690 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თავი 38), სადაც სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი N2-690 ბრძანებით განსაზღვრული პირობები, მათი შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- **ამასთან, სააგენტოში არსებული მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ ანგარიშის 38-ე თავში მოცემული ინფორმაცია N2-690 ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის თაობაზე არ შეესაბამება არსებულ რეალობას, კერძოდ, შპს „თი ეს გრუპს“ სამინისტროში/სააგენტოში არ წარმოუდგენია მტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური გამართულობის კონტროლის შედეგები (N2-690 ბრძანების მე-8 პირობა). ასევე კომპანიის მხრიდან არ ეცნობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ (N2-690 ბრძანების მე-11 პირობა). ამასთან, კომპანიას არ გააჩნია სამინისტროსთან/სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა (N2-690 ბრძანების მე-6 პირობა), რაც დასტურდება სააგენტოს 2022 წლის 5 სექტემბრის N21/4997 წერილით. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;**
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „წიდის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცალკე ქვეთავად,“ თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია მსგავს ქვეთავს არ მოიცავს. შესაბამისად, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წიდების შესახებ, მათ შორის დაზუსტებას საჭიროებს წიდების სახიფათობის/არასახიფათობის საკითხი;

- გარდა ამისა, ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ქვეთავში (6.1) აღნიშნულია, რომ ცემენტის მიღება ხდება წიდების გამოყენებით. შესაბამისად, თუ კომპანია საქმიანობის პროცესში დანამატის სახით გამოიყენებს ნარჩენს (წიდა ან/და სხვ.), წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია აღნიშნული ნარჩენის კოდის, დასახელების, რაოდენობისა და სხვა შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი N61 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პროექტის შესახებ სკოპინგის ანგარიშის **საჯარო განხილვაზე და სააგენტოში წერილობით დაფიქსირებული შენიშვნების/მოსაზრებების**, მათ შორის წინააღმდეგობრივი პოზიციის გათვალისწინებით **პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.** გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 43.2 („დანართი 2 - ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ“) მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია გზშ-ის ანგარიშში, თუმცა დოკუმენტაციაში არაფერია აღნიშნული მოსახლეობის მხრიდან სააგენტოში წერილობითი შენიშვნების/მოსაზრებების წარმოდგენის თაობაზე (აღნიშნული დოკუმენტაცია კომპანიასთან გადაგზავნილ იქნა 2022 წლის 17 ოქტომბრის N21/6143 წერილით). გარდა ამისა, თავში 34 („სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება“) მოცემული ჩანაწერის თანახმად, მოსახლეობის ინფორმირების ვალდებულება გააჩნია სახელმწიფო სტრუქტურას (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს), ამასთან მოსახლეობა უკვე ინფორმირებულია დაგეგმილი საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით (სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპზე). შესაბამისად, მოსახლეობასთან კარდაკარ ჩამოვლა და ზეპირსიტყვიერად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან/და რაიმე სხვა მეთოდებით ხელმოწერების შეგროვება კომპანიას გამართლებულად არ მიაჩნია. **წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხების შესახებ, მათ შორის საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მიერ, ასევე სააგენტოში წერილობით დაფიქსირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ.**

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო